



ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უწყვეტად. კარგად 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

განცხადების წასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლო-ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

### „საქართველოს“ კანტორისგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევიამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ. მოვადგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: გ. თიფლისი, რედაქცია „საქართველო“, მოსკოვსკაია, 4 პოჩ. ყაშიკი 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ამხანაგობა ქართლი
მივიღეთ საუკეთესო
თავლი „საქაშეთისა“
(ქველი სეზონიარია).

პირველხარისხოვანი
„კაფე ბორდო“
მისხლის პოლიტექნიკა, № 18 და მიხეილის ქუჩაზე № 1.
წაბბ, ყოველგვარი მხეილ-სხეილი საუშუალო დილის 9 საათიდან 12 საათამდე.

გამგეობა
გახელ შევენახეთა საზოგადოება
„კახეთი“-სა
ამით წევრთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ წევრთა ჩვეულებრივი
საზოგადო კრების
გაგრძელება მოხდება 20 მკათათვის 1915 წ. ქ. თელავში, საღამოს 8 საათზე, საზოგადოების ბიუროს ბინაზე.

ირ. ევდოვილი
სრული კრებული ხელის მოწერთ ღირს ორი მანეთი. მთელი შემოსავალი მგოსანს გადაეცემა.
„საქართველოს“ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა 0—5

გამოცდილი მასწავლებელი ქალი
იებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექნება. შეიძლება სახლი მიწვევაც. მისამართი: კირპიჩის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. 0—5

ლოკატორი ვედიცინისა
მოსე ანთიმოსის მე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის ავარაკში.

კილის ექიმი
ნილო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დღით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩის შესახვევის 21.
მ. ვ. მ. რ. შ. შ.
ქეიგი ნ. მ. კლიმაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

### თბილისი, 3 ივლისი.

საქიროა მოქმედება.
ის უბედურება, რომელიც წილად ხვდა ჩვენს ქვეყანას ამ უკანასკნელ დროს, ნათლად გვისახავს და გვეკარანხებს ერთს ლოზუნგს: საქიროა მოქმედება.

საქიროა მოქმედება. პირველი, პრაქტიკული ნაბიჯის სამოქმედო ასპარეზზე, საქართველოში ერობის თვითმართველობის მოწყობის საქმეა. ეს მთავარი სადღესის საქმეა და რეალი, მაშველი პასუხი იმ უბედურობის ასაცდენად, რომელსაც განიცდის დღეს ჩვენი ქვეყანა. უფრობოდ, ე. ი. ფართე და დიდ ორგანიზაციების მოწყობის გარეშე თავის მრავალრიცხოვან მუშაკებით და ძლიერ საერობო თანხით ყოველი ჩვენი ცდა უძღური ხელის ქნევა იქნება და უნაყოფო სიზიფის შრომა. საქართველოს დღევანდელ მრავალ მოთხოვნილებას პასუხს ვასცემს ჯერ-ჯერობით მარტო ფართო თვითმართველი და უფლებიანი საერობო ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციით დღეს ამიერ-კავკასიის სხვა ერებზე და ინტერესებულნი არიან და მოქმედებას აღვივებენ. ჩვენს გარდა ყველანი მოქმედებენ და, რასაკვირველია, ამ მოქმედებას თავის ინტერესს უფარდებენ. მაგალითად, ის საერობო პროექტი, რომელიც დამზადებულია ჩვენს მეზობლების ბანაკში, ცხადზე უცხადესად ცალმხრივად ტენდენციურად არის შედგენილი. ხსენებულ ერობის პროექტის განხორციელებას შეუძლიან დიდი ზონი მიაყენონ ამიერ კავკასიაში სხვა მოსახლე ერთა ინტერესებს და ქართველებსაც. კერძო დეპუტატს სომხების დეპუტატის პ. პაპაჯანოვის სახელით გვამცნო კიდევ, რომ სახელმწიფო სათათბიროში გავლენიანი კადეტთა პარტია უკვე შეუდგა სომეხთა დეპუტატების—აჯემოვისა და პაპაჯანოვის დახმარებით ამიერ-კავკასიის ერობის პროექტის შედგენას.

ასეთი გარემოება გვაიძულებს მიემართოთ ქართველობას და მოეწოდოთ დაუყოვნებლივ ჩაეროთ ამ დიდ საქმეში და მთელი თავისი ძალა და გავლენა მოიხმაროს, რათა უტენდენციოდ და სათანადო საერობო პროექტმა გაიმარჯვოს. ქართველთა აზრი ამიერ კავკასიის საერობო პროექტის გარშემო ნათელია და ცხადი. ამიერ კავკასიის უნდა მიეცეს ისეთივე ერობა, როგორც არსებობს შუა რუსეთში, ვინაიდან ეხლანდელ მთავრობისგან და ეხლანდელ პირობებში მეტის მიღება შეუძლებელია. შუა რუსეთში არსებულ ერობის მიღება სათათბიროში და ცხოვრებაშიც გატარება მეტად ადვილი საქმეა. არავითარი რადიკალური შესწორება რუსეთში არსებულ ერობის გეგმაში ეხლა არ შეიძლება, და ვინც ამას სცდილობს, სიანს პოლიტიკური ტენდენციების შეტანა სურს და, რასაკვირველია, ძალიანაც შეაფერხებს ამიერ კავკასიის ერობის პროექტის საქაროდ დამტკიცებასა და განხორციელებას. სწორედ ამ ხსენებულ ტენდენციების გამაქარწყლებლად უნდა ერთად გამოვიდეს ქართველობა, ენერგიული ზომები მიიღოს და დაიკავს თავისი და დანარჩენ კავკასიაში მოსახლე ერთა ინტერესები. საქიროა მოქმედება! დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ სერიოზულ მომენტს ყველა ჩვენი მოღვაწე გაითვალისწინებს და საქმესაც შეუდგება. ამ საქმის ინიციატივა უნდა იკისროს ისევე ჩვენმა დეპუტატთა საკრებულომ,

რომელიც მოვალეა დაუყოვნებლივ მოიწვიოს საერთო კრება ქართველ მოღვაწეთა და დაუწყებულებათა, რათა გამოტანდნ იქნას ერთი მტკიცე აზრი და წარუდგინოს იგი ადგილობრივ და უმაღლეს მთავრობას.

### ო მ ი ს ღ ღ ი უ რ ი

#### მიმომხილვა

ის ამოცანა, რომელიც ავტორო-გერმანელებმა მოგვცეს უკანასკნელ ათიოდღის განმავლობაში ბრძოლის ჩანელებით ხოლმ-ლობლინის პირზე, ვგონებთ ეხლა უკვე ცხადდება და ამკარავდება. საერთო მათი აზრი და მიზანი ვარშავის გარშემო შექმნილ რკალის მოხუნების ცხადი იყო მაშინაც, როცა ფელდ-მარშალ მაკენზენისა, ერცჰერცოგ იოსებ ფერდინანდისა და გენერალ ბემ-ერმოლის დიდმა ჯარებმა გალიციიდან ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით იბრუნეს პირი და ლიუბლინ-ხოლმის გუბერნიებს შეესივნენ. მაგრამ მას შემდეგ რაც მათი მოძრაობა ასე ადვილად შეჩერდა და მოქმედებაც მოდუნდა, საკითხავი გახდა გერმანელთა მოძრაობის მიმართულება. ამის შესახებ რამდენიმე აზრი გამოითქვა, მათ შორის საყურადღებო და მკაფიო იყო მხოლოდ ორი: 1) გერმანელთა მთავარი დაკვრა ისევ სამხრეთიდან წამოვა, და 2) ეს დაკვრა შეიძლება ჩრდილოეთიდან დაეწვას სამხრეთით.

დღევანდელი დეპეშა მთავარსარდლისა ოდნავ ფარდასა სწევს ამ ამოცანას: გერმანელები ჩრდილოეთიდან საერთო იერიშით წამოსულან, ამიტომ შესაძლებელია გამართლდეს მეორე აზრი და ამ შემოტევას დავალებული ჰქონდეს ბობრნარევის პირის გარღვევა სადმე ოსოვეცსა და პრასნიშის შუა. საერთო იერიში დაწყებულა 29 ივნისს, საღამოს. ლომის ჩრდილოეთით მეტად ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გაჩაღებულა. მეტად გამწარებულად იბრძვიან მდინარე შევისა და პისის ნაპირებზე. გერმანელთა დიდძალი ჯარი მოდის მდინარე ორეცესა და ლიბინის შუა, ე. ი. პრასნიშ-ცეხანოვის მიმართულებით. აქ რუსის ჯარი ბრძოლაში არ ჩაერულა და მეორე რიგის პოზიციებზე გადმოსულა.

მთელ ბობრ-ნარევისა და ქვემო ზუგის პირი მეტად ძლიერ და გამაგრებულ ფორტად ითვლება. მთელი ხომები ამ მდინარეებისა სრულეა პოზიციებითა და გაუფვალ ტყით. დიდი ჯარების მოძრაობა აქ მეტად ძნელია. გარდა ამისა, ამავე მდინარეთა ნაპირებზე მრავალი ფორტა და ოთხი პირველ ხარისხოვანი და უძლიერესი ციხეა: ოსოვეცი, ლომეა, ოსტროლენკა და ნოვოგეორგიევსკი.

ეკვი არ არის, რომ გერმანელები ერთ-ერთ ციხეს ამოიღებენ ნიშანში და ეცდებიან აქ კედლის გარღვევას. რომელია ეს ციხე—შეიძლება მალე გავიგოთ.

#### დეკეშეგი

თბილისი, 1 ივლისი. კავკასიის ჯარის შტაბისგან. ზღვის ნაპირას 29 ივნისის განმავლობაში სრულა. ჯამშექის სამხრეთით რუსის ჯარი მიიწევა მირზ-აღას მთაზე. მელიაჯერეთის მხარეზე რუსის ჯარები მოქმედებენ კობ-კარმუჯის მიდამოებში. ერთმა რუსის რაზმმა დაიპირა შეიხის ხიდი მდ. ეფრატზე, ამოსწვივა ორასი ქურთი და წამოიყვანა ათასი სული საქონელი. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მოხდება.
პატრონბადი, 1 ივლ. ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისგან. 29 ივნისს საღამოთი ნარევის ფრონტზე მტერმა შემოტევა დაიწყო. ლომის მიმართუ-

ლებით 29 ივნისს მტერი მხოლოდ საარტილერიო ცეცხლს აძლიერებდა. 30 ივნისს პისის მარჯვენა ნაპირზე მტერმა ორი ვერხის მანძილზე ჩვენი თხრის დაიპირა, მაგრამ კონტრ-იერიშით ისევ უკან დავიბრუნეთ. შუკას ორივე ნაპირზე გააფთრებული ბრძოლა. მდინარე ორეცი-ლიბინის შუა დიდძალი მტრის ჯარი წინ მოიწევა. ჩვენმა ჯარმა უბრძოლველად მეორე ხაზის პოზიციებისკენ დაიხია. ვისლის მარცხენა ნაპირზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ჩვენმა ჯარმა, რომელიც ვილკოლოზთან იბრძოდა, ერთი კვირის განმავლობაში 21—28 ივნისამდე უკანასკნელ ანგარიშით ტყვედ წამოიყვანა 297 აფიცერი და 22, 464 ჯარისკაცი. ხოლმის რაიონში, მდინარე ვოლიცაზე პატარა შეტაკებანი სწარმოებდა, სადაც ჩვენ 30 ივნისს 150 კაცი ტყვედ წამოიყვანეთ. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი სრულა.

პატრონბადი, 1 ივლ. გამოქვეყნდა ფინანსთა მინისტრის ბრძანება, რომლითაც ყველას ეკრძალება ოქროს ვატანი რუსეთიდან უტხოვთში. მინისტრთა საბჭომ მიიწონა წინადადება სამხედრო სამინისტროს მართველობა, რომელიც მოითხოვს, რომ 1915 წელს ჯარში გაიწვიონ ის პირნი, რომელნიც 1896 წელს დაბადებულან. მინისტრთა საბჭომ მიიღო: 1) ოსტიციის სამინისტროს კანონ-პროექტი, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადონ იოდის დასამზადებლად საქირო წყალბალახები და 2) ფინანსთა სამინისტროს პროექტი, რათა დადებულ იქნეს აქციონი ყურძნისა, ხილისა და ქოშინის ღვინოზე, რომელიც კი სახელმწიფოში მზადდება, ან საზღვარგარეთიდან შემოაქვთ.

ლომონი, 30 ივნ. გემზე „ბერლინი-სა“ და „მეორის“ კომანდა ლოუსტოვში შიპარხედ გადმოვიდა. ორივე გემი აფეთქა გერმანიის წყალქვეშის მიერ ჩაწყობილმა ყუმბარებმა.

გრემსოდან იტყობინებთან, ნაღმის დამჭერი გემი „ხენტონი“ ჩრდილოს ზღვაში დაიღუპა. კომანდა გადაარჩა.

თემთა პალატა. მაკენმა განაცხადა, ახალ სამხედრო სესხზე ხელის მოწერა დაახლოვებით ექვსას მილიონ გირვანქა სტრლინგამდე ავიდაო. განცხადებას ტაშის კვრით მიეგებნენ.

ატიონა, 30 ივნისი. ათინაში მყოფი დიდი ბრიტანეთის მისია იუწყება, განათავისუფლეს საბერძნეთის ის გემები, რომელთაც ბრალსა სდებდნ სამხედრო კონტრბანდის გადაზიდვაში. უნდა აღინიშნოს, რომ საბერძნეთის არც ერთი გემი სამართალში არ იყო მიცემული.

პარკიში, 30 ივნისი. მთავრობამ დაადგინა, ზემოთ გადაესვენებინა 1 ივლისს რუჟე-დე-ლილის გვამი ინვალიდთა სასახლეში. დღეს, შუაზი-ღერ-რუსის სასახლეში დასრულდა სოულკოდან ამოიღეს რუჟე-დე-ლილის გვამი. დაესწრო შინაგან საქმეთა მინისტრი, ადგილობრივი მთავრობის პირები და პატრიოტულ საზოგადოებათა დელეგაციები.

პარკიში, 30 ივნისი. დილის ცნობა. გერმანელებმა დამით სცადეს ჩვენ პოზიციებზე შემოტევა, მაგრამ უშუკდებულ იქნენ დიდის ზარალით. აპრემონის ტყეში, რენცილის რაიონში და ლეპრეტის ტყეში საარტილერიო და სახალხლო ბრძოლა სწარმოებეს. ფეხების მარჯვენა ნაპირის სიმაგრეებზე შემოტევამ მტერს უნაყოფოდ ჩაუარა. საპაერო ეს-

კადრები, რომელიც 35 ჰაერობლანსაგან შედგებოდა, დღეს დილით ყუმბარები დაღვინა მტრის სტრატეგიულ სადგურს. აქ ავიატორებმა 171 ყუმბარა ჩამოაგდეს, რომლებსაც აფეთქებამ ცეცხლი გააჩინა. ყველა ავიატორი მშვიდობით დაბრუნდა, მიუხედავად საშიშელ ბრძოლისა.

სალამოს ცნობა. ბელგიაში ფრანგებსა და ინგლისელებს მტერი ზარბაზნის უშენა და შხამიანი ბოლით სარგებლობდა. არასის ჩრდილოეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლა. კრონპრინცის არმიამ შემოგვიტია ბინარვილი-ვიენლენ-ტალი-ოტ-შევა შემდეგ, მაგრამ ხელახლა დამარცხდა. ამ შემოტევაში მონაწილეობას ღებულობდა მე-16 კორპუსის 5 პოლკი. მასისა და მოხელს შუა საარტილერიო ბრძოლა. ფენიცი და ტყეს შუა მდებარე ადგილი ჩვენ შევიწარმენეთ.

**ლონდონი**, 29 ივნისი. სადამირალო იუწყება: 21 ივნისს აღმოსავლეთ აფრიკაში, მდინარე რუფიჯის აღმ-აღმა აყვარო მონიტორი „სევერნი“ და „მერსი“ და ბრძოლა აუტყვეს გერმანიის კრეისერ „კენიგსბერგს“. ჰაერობლანები შეელოდნენ სროლის მოგვარებაში. 6 საათის შემდეგ „კენიგსბერგი“ კიდევ ისროდა ერთ ზარბაზნიდან, თუმცა სულ ერთიანად ცეცხლის ალში იყო ჩახვეული. ბოლოს „კენიგსბერგი“ ჩაჩურჩა. 28 ივნისს ხელახალი იერიში მიიტანეს „კენიგსბერგზე“ და სრულად გაანადგურეს. ორსავე ბრძოლაში ინგლისელებს ოთხი მოუკლეს და ექვსი დაუჭრეს.

**ნიუი**, 28 ივნისი. ღამით ავსტრიელები შეეცადნენ ქვეითი ჯარის ერთი რაზმი გადმოეხსათ მიბარსკადის კუნძულზე ნაყების საშუალებით, მაგრამ ვერას გახდა. ამის შემდეგ ავსტრიელებმა ხანგრძლივი საარტილერიო ბრძოლა გააბეს. შედეგი არა მოპყრობია რა.

**ბათინა**, 30 ივნ. ბრძოლა კრიტის დასაქვრად გრძელდება. კრიტის ორი სექტორი თავგამოდებით იერიშის შემდეგ მოკავშირეთა ხელში გადავიდა. აღმოსავლეთის მხრისკენ, სადაც კრიტი ნალოვებები ჰფარავს, ერთობლივად უკვე გამარჯვებული წინ მიიწევენ და ოსმალებს ემუჭრება, რომ ჯვარედინის მსგავსად ზარბაზნებს დაუშენს. ზარბაზნების სროლა განახლებულია. ოსმათა სიმაგრეებიდან სუსტად უნასუხებენ. როგორც ამბობენ, მოკავშირეებმა ამ ბრძოლაში 4000 ტყვე იგდეს ხელთ.

**ნიუი**, 30 ივნ. „ბრეს. ბიურო“ იტყობინება, 29 ივნისს მოწინააღმდეგის ორმა ჰაერობლანმა ბელგიაში ორი ყუმბარა ჩამოაგდო ისეთი ალგავას, სადაც სამხედრო შენობები არ მოიპოვება. ერთი ყუმბარა ქუჩაზე დაეცა, მეორე სახლს მოხვდა. ადამიანთა მსხვერპლი არ არის. ორი ყუმბარაც ბანიცეში ჩამოაგდეს.

**რომი**, 1 ივლ. მთავარ შტაბის განცხადება. მთელ ფრონტზე საერთო მდგომარეობა არ შეცვლილა.

გუშინ დილით ჩვენმა ჰაერობლანებმა ყუმბარა დაუშინეს 600 მეტრის სიმაღლეს და მოწინააღმდეგის ბანაკს გოსტინციის მახლობლად.

**ლონდონი**, 30 ივნ. სასამართლომ გაარჩია საქმე სკანდინავიის გემებისა „კიბის“, „ნობელის“, „ნიერსონის“ და „ფრიდლანდისა“ ამ გემებს გერმანიისათვის სურსათი მოქმედება, შეიპყრეს და კოპენჰაგენში მიიყვანეს. გამორჩევა რომ ზემოთ აღნიშნულ გემების გარდა შეპყრობილია 30 სკანდინავიის გემი, რომელთაც მოქმედება 10,009 ტონის წონა სურსათი, მომეტებული ნაწილი ქონი გერმანიისათვის ჯარისთვის. ეს ქონი ამგორკელ ექპორტირებს გაუფხავნით. ამის გარდა „ფრიდლანდში“ აღმოჩნდა კაუჩუკი.

**ნორტალინი**, 1 ივლ. როსლანგენის მახლობლად შედგური გემი „დეზი“ ნაღბს წააწყდა. კაპიტანი და ოთხი მეზღვაური დაიღუპა. გემს ნახშირი მოქმედება ბურინსლანდიდან სენდოვალში.

**შურალ-გაგათიანი**  
ავსტრია და რუმინია.

სრულ ნეიტრალიტეტის დაცვისთვის ავსტრია ჰპირდება რუმინიას ბუკოვინის ნაწილს და ბრავევაში რუმინიის უნივერსიტეტის გახსნას, ხოლო აქტიურ გამოსვლისთვის უთმობს ბუკოვინას და ჩერნოვიცას, გარდა ამისა ჰპირდება, ავიღებ ბესარაბიას და შემდეგ რუმინიას გადაეცემა.

**გერმანია ოსმალების შევლის.**  
ათინის დიპლომატიურ წრეებმა ცნობა მიიღეს, რომ გერმანიას ამ ეხმად მოლაპარაკება გაუმართავს რუმინიასთან,

რათა ამ უკანასკნელმა ნება მისცეს გერმანიას რუმინიის ტერიტორიაზე გაატარებინოს ოსმალეთისთვის დანიშნული დიდძალი სამხედრო მასალა. გასულ კვირას რუმინიას დაუჭერია ას ორმოცდაათი ვაგონი, ფარულ განყოფილებებიანი; ყველა სამხედრო მასალით ყოფილა დატვირთული.

სტამბოლში „წითელი ჯვრის“ ნიშნით შემოუყვანიათ ოცდაათი ბენზინით დატვირთული ვაგონი, ოთხი ვაგონი გოგირდი; ოთხი სხვა ვაგონიც, რომლებშიაც დაშლილი ჰაერობლანების ნაწილები ელვა.

ბუქარესტიდან მოსული ცნობით გერმანია და ავსტრია ენერგიულად ცდილობენ ნებართვა აიღონ ნეიტრალ ქვეყნებისაგან სამხედრო კონტრაბანდის გაზიდვის შესახებ. თუ ესენი უარზე დადგებიან. შეიძლება ავსტრია და გერმანიამ ძალასაც მიმართონ.

**„მწვანე ბოლი“.**

გერმანელებმა ახალი ბოლის ხმარება დაიწყეს რუსეთის ფრონტზე, აქა-იქ. ეს ბოლი თვალს აფუჭებს და სინათლეს უკარგავს. რუსებმა „მწვანე ბოლი“ უწოდეს მას.

პეტროგრადის დიპლომატიის წრეებში ცნობა მოვიდა, ბულგარეთიდან სტამბოლში მთელი მატარებელი ჩასულა სახედრო სურსათით დატვირთული. მატარებელს თან ჩამოყალიბა გერმანელი აფიცრები უზარალო ტურისტების სახით.

ათინიდან ცნობაა, რომ 27 ივნ. ფილიპოპოლში ორ მატარებელს გაუვლია. მატარებლები სტამბოლისკენ გამართულან და დიდძალი გერმანელი აფიცრები და უნტერ-აფიცრები მიყვებოდა.

**პოლონეთში**

ქ. კუტნოში სამხედრო სასამართლომ ვივარს ფრანცისკის სამხედრო მოღალატეობის გამო სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. პრუსიელმა ფრანცისკამ 1914 წ. ოქტომბერში ძალით რუსებს გადასცა გერმანელი მფრინავი. 17 ივნისს განაჩენის ძალით იგი დახვრიტლ იქნა.

**შაკარი ბრძოლა**

კოპენჰაგენიდან „კ. ვედ.“ ატყობინებენ, გერმანიელთა გაძლიერებულ ზარბაზნის სროლისგან არასის ცეცხლი ედება. მეტის მეტად დაზიანებულია ჩრდილოეთის და აღმოსავლეთი ნაწილი. ცნობილი არასის ტიპარი დამწვარა. ჩერმანელთა ოფიციალი ცნობა იმით ასაბუთებს არასის დაწვეს, რომ იქ მოკავშირეებს დიდძალი ჯარი მოუგროვებია.

**რამდენი გემი დაეღუპა ინგლისს.**

ოფიციალ ცნობათა მიხედვით ინგლისელთა დაღუპულ სავაჭრო გემთა წყალწყვა 548.914 ტონას უდრის. გერმანელებს დაუღუპნიათ 145 სავაჭრო გემი და 168 იალქნიათ ხომალდი. ამის გარდა, დაღუპულია მრავალი გემი, რომელიც ეკუთვნოდათ ნეიტრალურ და მოკავშირე სახელმწიფოებს. ბოლო დროს რიცხვი წყალქვეშა ნაგებისა გადიდებულია და ამ უკანასკნელ ოცი კვირის განმავლობაში ჩამართულია 70 გემი სხვა და სხვა ავტუბულობისა და სხვადასხვა ეროვნებათა. „რ. ვედ.“

**გენადიევის გარშემო.**

ექიმმა გატიევმა წერილი მოათავსა სოფლის ვაზეთ „კამანში“, სადაც გატარებულია ის აზრი, რომ დიდი მზავსება არისო მეფის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებასა და მინისტრ პეტუოვის მოკვლის შორისო, რომელიც, გატიევის სიტყვით, ბატონ გენადიევის მიერ, იყო მოწყობილი. გატიევი მოითხოვს, რომ სამართალში მიყვებულ იქნას ბ-ნი გენადიევი და პროცესის თავმჯდომარეც პოლკოვნიკ იოსტევი, ამ უკანასკნელს ბრალსა სდებს, გენადიევის ხელს აფარებსო. გენადიევი დაემუქრა ბ-ნ გატიევს ვაზეთ „ვოლის“ ფურცელზე, ცილისწამებისათვის სამართალში მიგვიმო. გატიევმა უნასუხა, რომ მასაც ესა სწავლია.

**საგოგლოს სიუპარული**  
(ინდივიდუალი აზრი)

წინა წერილში ჩვენ ის აზრი გამოვსთქვით, რომ თუ პიროვნების ნიჭს ხეობრივი, მორალური გრძნობა არ განაგებს და არ აკანონებს, რაც უფრო მეტად ნიჭიერია ასეთი პიროვნება, იგი მით უფრო მეტეხეული და საშიშია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სხეულის-

თვის. გამბედაობა, გაჭირვება, შრომის სიყვარული, ყველა ეს ადამიანის გამგეობრივება არამც თუ ამოღებს მის პიროვნებას, პრიჭით, ამკარებს. თუ ის ამ ღირსებას მხოლოდ თავის საკუთარ სარგებლობისთვის იყენებს და სხვის უფლებას ტლანქად ჰქედას, ამით რთულდება და ასევედება ის ზიანი, რომელსაც იგი ერს აყენებს. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ასე ხდება, რომ სახელმწიფო, ერო მსგავს პიროვნებას რაინდის სახელსაც ანიჭებს და აფასებს მას მხოლოდ საკუთარ ნიჭისთვის, საკუთარ ენისთვის, — თუ შეიძლება ასე ითქვას. — საზოგადოება სრულებით ყფრადღებს არ აქცევს იმ საშუალებას და ხერხს, რომელსაც პიროვნება მიმართავს, და არც იმ შედეგებს, რომელსაც მსგავს პიროვნების ნიჭი და ენა იძლევა. ასეთი პიროვნება საშიშია ყოველ დარგში. ადამიანის დაფასება მხოლოდ იმისდა მიხედვით, რომ იგი თავის მიზანს აღწევს, დიდი შეცდომაა. თუ ასეთი დაფასება ხალხის უმრავლესობას ეკუთვნის, ამით მხოლოდ ის მტკიცდება, რომ ხალხს გაგება აქვია იმ საანანაო ქეშმარიტებისა, რომ საბოლოო ანალიზში ყოველგვარ თავისუფალ დაწესებულებას პიროვნების ხასიათი უდევს საძირკვლად და რომ ასეთი გათავსება ბოროტებისა მიხედვითელია თვით ხალხის, ერის გახრწინებისა და ზნეობრივ დაქვეითებისა. ყოველდღიურ ოჯახურ განწყობილებას, რომელიც დედაკაცს კარგ დიასახლისობას და ერთგულ დედაობას ავალუებს, ხოლო მამაკაცს კი ნამდვილ ქმრებას, კარგ მამობას, და თუ გარემოებამ მოითხოვა — მამულისთვის სიკვიდილსაც, საძირკვლად პიროვნების ხასიათი უდევს. მაგრამ ცხადია რომ თუ ერს სურს არამც თუ თავისუფლება, არამედ ძლიერებას, მაშინ ის პიროვნებისაგან მეტს მოითხოვს. რასაკვირველია, პიროვნების კერძო ცხოვრება, როგორც უკვე გვეჩვენა აღნიშნული, არაპარდაპირ ერის ცხოვრებაზე მოქმედობს, მაგრამ ერი, სახელმწიფო საზოგადო ცხოვრებასაც ითხოვს პიროვნებისაგან. თანამედროვე ერთა ცხოვრებაში პიროვნების ვალდებულებების შესრულება სახელმწიფოს წინაშე არც ისე ადვილია. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ ერთ უკლებილსავე: იგი არ სახელმწიფო მოქალაქისაგან იდეოლოგობას სრულებით არ თხოვლობს,

ფილოსოფოსი, უმაღლესი კულტურული პიროვნება, რომელიც თავის ბიბლიოთეკიდან სხვა და სხვა სახელმწიფოებრივ წყობილების გეგმას ადგენს მომავალ საზოგადოებისთვის, პრაქტიკულ ცხოვრებაში არაფერს არ წარმოადგენს. ბრმა ფანტიკოსი, განსაკუთრებით ხალხის მეთაური ფანტიკოსი, რომელიც ხშირად არაგულწრფელად ემსახურება თავის იდეას და ჰპირდება ხალხს ისეთი რამეს, რისი შესრულება ყოვლად შეუძლებელია, ასეთი პიროვნება არამც თუ უსარგებლო, არამედ დიდად მავნე და ბოროტიცაა. შემეცდარია ის აზრი, თითქმის პიროვნების იდეალი მიუჭდობელი უნდა იყოს. მართალია პიროვნების იდეალი მაღალი უნდა იყოს, მაგრამ თუ ის მიუჭდობელია, ინდივიდის გონიერება მოითხოვს უკუგდებას ასეთ იდეალს. არაფერი სიკეთე არ გამოიმდინარებს იმ იდეალისაგან, რომელიც ფანტაზიის სამეფოში დასცურავს. ფანტაზიორი, რომელიც რომელიმე საუკუნეში წინასწარმეტყველებას და წინმეტყველებას ჩემულობს, საშიში მტერია პრაქტიკულ რეფორმატორისა, ე. ი. ისეთ საშუალო კაცისა, რომელიც მთელ თავის ენერჯის ხარჯავს თანამედროვე ცხოვრებაში თანამედროვე პირობათა მიხედვით, ცხოვრებას გამოგვიჯოს სულ პატარა-პატარა გაუმჯობესება ერის კეთილდღეობისთვის და ამით ცოტად თუ ბევრად წინ წასწიოს საზოგადო მდგომარეობა; ვი იმათ, ვინც მხოლოდ ცარიელ სიტყვებით უმასპინძლებდა ხალხს, ერის წყურვილს. ვი იმათ, ვინც საღიფისო საპირ-ბოროტო წვირილმან საკითხებს გაუბობს და გამოურკვეველ მომავლისკენ უთითებს ერს.

იდეალის მღალადებელს არ უნდა დაეფიქვდეს, რომ თავის მიუჭდობელ იდეალთა ის დღევანდელ დღეში ცხოვრებას ამტკიცებს და ამარტებს. მას უნდა ახსოვდეს ისიც, რომ იდეალის ღირებულება დამოკიდებულია მის განხორციელების შესაძლებლობაზე.

მეორე მხრივ „პრაქტიკი“ კაცი, რომელიც თავის პრაქტიკულ მოღვაწეობას თანამედროვე ცხოვრებაზე ამყარებს, რომელსაც არ წინამ არც მორალი, არც ცხოვრების სიჭაბუკე, უსაშინელესი მტერია ერის სხეულისა.

**ე. აღმზიანია.**

**იხვირის პოლსიის შესახებ**

„საქართველო“-ში დაიბეჭდა ორი წერილი პრაქტიკული ახელისა შემდეგის სათაურით: „რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საკითხი?“. ავტორის მეორე წერილში მოჰყავს, სხვათა შორის, სიტყვა-სიტყვით უწმიდესი სინოდის 1906 წლის 23 აგვისტოს 9147 ნომრის ბრძანება და დასკვნა შემდეგს: „როგორც მხედრად, სასულიერო მთავრობა არ ხუმრობდა. ის არაჩვეულებრივ სისწრაფით შეუდგა საქმეს და ამკარად ჩვენზე კართელებს, სამართლიანად გვისაყვედურებდა, რადა ხართ ასეთი დაუდევარი და ხელმძიმენი, რომ ამოღენა ხანს ესა და ეს თქვენი საკუთარი, ეროვნული და მართვი საქმენი არ გაგიკეთებიათ... ვისაც შეგვეძლო და ფორმალურად შეგვეხებოდა ეს საქმე, თითქც არ გავგინძრევა, (ხაზი ჩვენია) რომ ცოტათი მაინც ხელი შეგვეწყო წალმა მოტრიალებულ ჩარხის ჯეროვნად ტრიალისთვის. ველოდით, რომ ვილაცა სხვა, მესამე პირი ჩვენდა დამოუკიდებლად გააკეთებს იმას, რის გაკეთების ნება მთავრობამ ცხრა წლის უკან მოგვცა და დაღმდინ უნდა გაკეთებულიყო, რადგანაც არც ვაჭივებში დაწერილი, არც კერძო ხმა გამოხუდა, ვითომ მთავრობას უკან წაიღოს თავისი დაპირება“.

ეს ბრძანება „Заканъ о сѣхъ“-ში დაბეჭდა სწორედ იმ დროს, როდესაც განსვენებული საქართველოს ექსარხოსი ალექსი მოდიოდა თვის სამწყსოში სამწყსოს მეთაურად. იმავე ვაზეთმა მაშინვე გამოიტყვა სურვილი, რომ ახალი ექსარხოსი, თუ აქამდე არ განხორციელებულა ეს ბრძანება, ახლა მაინც ინებებს იმის საეკლესიო ცხოვრებაში შეტანას და ამით ჩაედგება საფუძველი საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის მტკიცე საფუძველზე დამყარებას.

გავიდა ხანი და ეს ბრძანება ხსენებულმა ექსარხოსმა დაივიწყებს მისცა ზემოდან დიდი ლოდი დაადო. იმერეთის ეპარქიის სამღვდელთა დეპუტატების კრებამ ივერიის ეკლესიის საკითხს დაამყარა. ივერიის ეკლესიის მართვის ალგავს, რასაკვირველია, ფიქრობდით სულიერ საარგებლობაზე თქვენი დამოუკიდებლობისაგან ჩაბრუნების ახალის სამწყსოსია. ვინაიდან თქვენ დაცილებული იყავით აქანდისინ ამ სამწყსოს, ცოტა გესმოდათ და ჰკითხულობდით მის შესახებ, არ შეგეძლოთ დაპყრობილი ნამდვილ მის საკურობას, ვფიქრობთ, ეს ჩვენი უმნიშვნელი მოხსენებითი ბარათი ოდნავად მაინც შეგადგინებდით ამ საკურობის აწონდაწონვას. ჩვენი მოვალეობაა სიმართლის თქმა და გაცნობა თქვენი მაღალ ყდ უსამღვდელოებისა მართლმადიდებელ ქართველ ერის ნამდვილ სულიერ საკურობასთან, თქვენი საქმე კი — განკურნოთ სულიერი მისი წყურვილი და უხელმძღვანელო სამწყსოს ღვთის, ქეშმარიტების და სიმართლის გზაზე. თქვენ ბოძებული ვაქეთ გადასწყვიტოთ ბედ-უბედობა ჩვენის ჯვრის მტერთველ ეკლესიისა, ჩვენ კი მოკლებული ვართ ყოველივე ინიციატივობას და თვითმოქმედობას: ჩვენ არ ძალგვიძს ჩვენის ღვთის ჩვენის ეკლესიისათვის რაიმე კეთილი და სასარგებლო მავალითი და ნება უნებურად ხელ-ფეხ შემოქოლ ტყვეების მდგომარეობაში ვართ. ჩვენ იმდენად შეშინებული და დამცირებული ვართ, რომ დღემდის სამღვდელთა ვერც ერთმა კრებამ ვერ გახედა კრინტის დაძვრა თქვენს წინა მოადგილეებთან ისეთი კიროდ-მნიშვნელოვან საგნებზედაც თუ, რომელთა შესახებაც მოგითხრობთ ეს მოხსენებითი ბარათი. ჩვენც ვული ვვიდევს საგულეში, ჩვენც შეგვდევს ნიჭი ჩვენი სამშობლოს სიყვარულისა და ტანჯვისა, როდესაც ვხედავთ ამ სამშობლოს განიავებას. ბევრიც იტანჯებოდა და იტანჯება, მსე როგორც იტანჯებოდნენ ძველად წინასწარ-მეტყველნი, რომელნიც იუდეულების სამეფოს განიავებას ხედავდნენ. ამისათვის დღე არ განვიკითხოს თქვენმა მაღალ ყდ უსამღვდელოებაში ამ მოხსენებითი ბარათისათვის, რომელსაც აზრად აქვს წარმოადგინოს მხოლოდ შიშველი ფაქტი და მწარე ქეშმარიტება.

ჩვენ, რასაკვირველია, არას ვიტყვი ივერიის ეკლესიის ძირითად უფლებებზე — იმის ავტოკეფალიობის აღდგენაზე, რომელიც ასე რიგად აშინებს მრავალეუფე — პოლიტიკოსებს; ეს ხელმოყვე იმპერატორის ნებისა და მომავალი სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების საქმეა, ვნახოთ რამდენად ეს უკანასკნელი კანონიურ ნიადაგზე დადგება და სახეში მიიღებს ნამდვილს საეკლესიო და სახელმწიფოებრივ მის საარგებლობას; ჩვენ მხოლოდ იმ საკურობებზე ვილაპარაკებთ, რომელთა გადაჭრა შეიძლება ადგილობრივ თქვენის მაღალ ყდ უსამღვდელოების ნებართვით.

**დავიწყოთ იქიდან, რომ ეკლესიებში არ არის საღვთისმშობლო წიგნები.**

მისი საღვთისმშობლო წიგნები. მისი იმპერატორობითი უდიდებულსობის „უქაზი“, თბილისს გამოგზავნილი 1906 წლის 23 აგვისტოს მისი მაღალ ყდ უსამღვდელოების ნიკონის სახელზე, რომელიც „უქაზიც“, სიტყვად მოიქანა, არ განხორციელებულა, თუმცა აუცილებელი უნდა განხორციელებულიყო, რომ ერთი მესამედად მაინც გასწორებულიყო ის უსწორ-მასწორობა ჩვენი ქვეყნის საეკლესიო გამგეობის საქმეში, აქცევს რა ყურადღებას საქართველოს ეკლესიის საეკლესიო მოწყობის მხარეს, მოგვიხრობს: „შესდგეს ადგილობრივ კომისია დაბადებისა გადასათარგმნელად ადგილობრივ ენებზე, აგრეთვე საეკლესიო წიგნებისა და საეკლესიო საგალობელთა კრებულების გამოსაცემად. მიუხედავად ამისა, ძველისძველ დროში, როდესაც წიგნები ვრცელდებოდა გადაწერით, საქართველომ ეკლესიებში ასეთი ნაკლოვანება საღვთისმშობლო წიგნებისა არ ყოფილა, როგორცაა, როგორცაა, რომელსაც ვხედავთ ეხლა, როდესაც ას გადავილებულია სტამბის საშუალებით წიგნების გაგროვება. არ მოიპოვეთ უსაქიროესი წიგნები, როგორცაა, ბეგალითად, დავითნი, კურთხევა, სახარება; არას ვიტყვი თვევის შესახებ, რომელიც ძლიერ-ძლიერით და ცუდი ხელთ-ნაწერად უძველეს ეკლესიებსა და მონასტრებში, რომ შეგროვდეს კოლექცია საეკლესიო საღვთისმშობლო წიგნებისა.

დავიწყოთ იქიდან, რომ ეკლესიებში არ არის საღვთისმშობლო წიგნები. მისი იმპერატორობითი უდიდებულსობის „უქაზი“, თბილისს გამოგზავნილი 1906 წლის 23 აგვისტოს მისი მაღალ ყდ უსამღვდელოების ნიკონის სახელზე, რომელიც „უქაზიც“, სიტყვად მოიქანა, არ განხორციელებულა, თუმცა აუცილებელი უნდა განხორციელებულიყო, რომ ერთი მესამედად მაინც გასწორებულიყო ის უსწორ-მასწორობა ჩვენი ქვეყნის საეკლესიო გამგეობის საქმეში, აქცევს რა ყურადღებას საქართველოს ეკლესიის საეკლესიო მოწყობის მხარეს, მოგვიხრობს: „შესდგეს ადგილობრივ კომისია დაბადებისა გადასათარგმნელად ადგილობრივ ენებზე, აგრეთვე საეკლესიო წიგნებისა და საეკლესიო საგალობელთა კრებულების გამოსაცემად. მიუხედავად ამისა, ძველისძველ დროში, როდესაც წიგნები ვრცელდებოდა გადაწერით, საქართველომ ეკლესიებში ასეთი ნაკლოვანება საღვთისმშობლო წიგნებისა არ ყოფილა, როგორცაა, როგორცაა, რომელსაც ვხედავთ ეხლა, როდესაც ას გადავილებულია სტამბის საშუალებით წიგნების გაგროვება. არ მოიპოვეთ უსაქიროესი წიგნები, როგორცაა, ბეგალითად, დავითნი, კურთხევა, სახარება; არას ვიტყვი თვევის შესახებ, რომელიც ძლიერ-ძლიერით და ცუდი ხელთ-ნაწერად უძველეს ეკლესიებსა და მონასტრებში, რომ შეგროვდეს კოლექცია საეკლესიო საღვთისმშობლო წიგნებისა.

დავიწყოთ იქიდან, რომ ეკლესიებში არ არის საღვთისმშობლო წიგნები. მისი იმპერატორობითი უდიდებულსობის „უქაზი“, თბილისს გამოგზავნილი 1906 წლის 23 აგვისტოს მისი მაღალ ყდ უსამღვდელოების ნიკონის სახელზე, რომელიც „უქაზიც“, სიტყვად მოიქანა, არ განხორციელებულა, თუმცა აუცილებელი უნდა განხორციელებულიყო, რომ ერთი მესამედად მაინც გასწორებულიყო ის უსწორ-მასწორობა ჩვენი ქვეყნის საეკლესიო გამგეობის საქმეში, აქცევს რა ყურადღებას საქართველოს ეკლესიის საეკლესიო მოწყობის მხარეს, მოგვიხრობს: „შესდგეს ადგილობრივ კომისია დაბადებისა გადასათარგმნელად ადგილობრივ ენებზე, აგრეთვე საეკლესიო წიგნებისა და საეკლესიო საგალობელთა კრებულების გამოსაცემად. მიუხედავად ამისა, ძველისძველ დროში, როდესაც წიგნები ვრცელდებოდა გადაწერით, საქართველომ ეკლესიებში ასეთი ნაკლოვანება საღვთისმშობლო წიგნებისა არ ყოფილა, როგორცაა, როგორცაა, რომელსაც ვხედავთ ეხლა, როდესაც ას გადავილებულია სტამბის საშუალებით წიგნების გაგროვება. არ მოიპოვეთ უსაქიროესი წიგნები, როგორცაა, ბეგალითად, დავითნი, კურთხევა, სახარება; არას ვიტყვი თვევის შესახებ, რომელიც ძლიერ-ძლიერით და ცუდი ხელთ-ნაწერად უძველეს ეკლესიებსა და მონასტრებში, რომ შეგროვდეს კოლექცია საეკლესიო საღვთისმშობლო წიგნებისა.

დავიწყოთ იქიდან, რომ ეკლესიებში არ არის საღვთისმშობლო წიგნები. მისი იმპერატორობითი უდიდებულსობის „უქაზი“, თბილისს გამოგზავნილი 1906 წლის 23 აგვისტოს მისი მაღალ ყდ უსამღვდელოების ნიკონის სახელზე, რომელიც „უქაზიც“, სიტყვად მოიქანა, არ განხორციელებულა, თუმცა აუცილებელი უნდა განხორციელებულიყო, რომ ერთი მესამედად მაინც გასწორებულიყო ის უსწორ-მასწორობა ჩვენი ქვეყნის საეკლესიო გამგეობის საქმეში, აქცევს რა ყურადღებას საქართველოს ეკლესიის საეკლესიო მოწყობის მხარეს, მოგვიხრობს: „შესდგეს ადგილობრივ კომისია დაბადებისა გადასათარგმნელად ადგილობრივ ენებზე, აგრეთვე საეკლესიო წიგნებისა და საეკლესიო საგალობელთა კრებულების გამოსაცემად. მიუხედავად ამისა, ძველისძველ დროში, როდესაც წიგნები ვრცელდებოდა გადაწერით, საქართველომ ეკლესიებში ასეთი ნაკლოვანება საღვთისმშობლო წიგნებისა არ ყოფილა, როგორცაა, როგორცაა, რომელსაც ვხედავთ ეხლა, როდესაც ას გადავილებულია სტამბის საშუალებით წიგნების გაგროვება. არ მოიპოვეთ უსაქიროესი წიგნები, როგორცაა, ბეგალითად, დავითნი, კურთხევა, სახარება; არას ვიტყვი თვევის შესახებ, რომელიც ძლიერ-ძლიერით და ცუდი ხელთ-ნაწერად უძველეს ეკლესიებსა და მონასტრებში, რომ შეგროვდეს კოლექცია საეკლესიო საღვთისმშობლო წიგნებისა.

დავიწყოთ იქიდან, რომ ეკლესიებში არ არის საღვთისმშობლო წიგნები. მისი იმპერატორობითი უდიდებულსობის „უქაზი“, თბილისს გამოგზავნილი 1906 წლის 23 აგვისტოს მისი მაღალ ყდ უსამღვდელოების ნიკონის სახელზე, რომელიც „უქაზიც“, სიტყვად მოიქანა, არ განხორციელებულა, თუმცა აუცილებელი უნდა განხორციელებულიყო, რომ ერთი მესამედად მაინც გასწორებულიყო ის უსწორ-მასწორობა ჩვენი ქვეყნის საეკლესიო გამგეობის საქმეში, აქცევს რა ყურადღებას საქართველოს ეკლესიის საეკლესიო მოწყობის მხარეს, მოგვიხრობს: „შესდგეს ადგილობრივ კომისია დაბადებისა გადასათარგმნელად ადგილობრივ ენებზე, აგრეთვე საეკლესიო წიგნებისა და საეკლესიო საგალობელთა კრებულების გამოს



ქმის ქალაქებს, რომელიც მრავალად აწყვეთ ჩვენი დაუღალავი და მხნედი მომ-ქმედი დემუტატის პორტფელში, და შე-მდეგშია ღირსსაღმარებლის კიდევ გა-ვატეობა „საქართველოს“ მკითხველებს. მოვეულოდებ ჩვენს მოღვაწეებს მიაწო-დონ მას ჩვენი ახლანდელი ცხოვრების დამახასიათებელი სტატისტიკური, ისტო-რიული და სხვა მასალები, რომლებითაც იგი საქართველოს დროს სათანადო და-წესებულებებში ისარგებლებს და ხმას აღიმალღებს ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამის გამოსარკვევად, ურწმუნოთა დასარწმუნ-ებლად. დროა, ჩვენ დემუტატებისადმი რაღაც ზოლოვანებულ მტრობასა და შუ-რიანობას ჩვენმა ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა თავი გაანებოს და ხალხის წარ-მომადგენლებს დაეხმაროს, ვისაც შეუ-ძლიან დახმარება, სახალხო საქმეში.

ეს იქნება წინ წაწევა იმ სახალხო სა-ქმისა, რომლის დამცველად საქართვე-ლოს ორმა კუთხემ აირჩია ენერგიული დემუტატი ხალხის ინტერესების დასა-ცავად რუსეთის პარლამენტში. საქართვე-ლი დემუტატი დიდი ამინტით შეგნე-ბით სარგებლობდა და არა მარტო ხალხს გრძობებზე და მყარებული სურვილებით თავის მოტყუება და ხალხის ნუგეზის-ცემა.

ქუთათური მწიგნობარი.

**საზოგადოება „გურჯა“**

კვირას, 5-ს მკათათვეს, სამეურნეო ბანკის დარბაზში დილის 10 საათზედ დანიშნულია მომხმარებელ საზოგადოე-ბა „მეურნეს“ კრება. როგორც მკით-ხველს მოესვენება, წარსულ კრებებზედ ამორჩეული იყო დროებითი საორგანი-ზაციო გამგეობა, რომელსაც უნდა მოე-წესრიგებინა საქმე წევრების შეგროვე-ბისა, ფულის აკრებისა, წესდების და-ბეჭდვა და მომავალ მუშაობის გეგმის შედგენა. ყველა ეს დროებითი გამგეობამ დაახლოვებით შეასრულა და მომავალ საერთო კრებაზედ უნდა საბოლოოდ გადასწყდეს „მეურნეს“ არსებობის თუ საქმის დაწყების ბედი; უნდა მოხდეს არჩევანი ნამდვილი გამგეობისა და განხილვა ყველა საკითხებისა, რომელიც დამოკიდებულია და გადაბმულია არიან თვით საზოგადოება „მეურნესთან“.

აქამდის ჩაწერილია ასზე მეტი წევრი, მაგრამ საპაიო გადასახადი სრულად ბევრს არა აქვს შემოტანილი. ამიტომ სასურველია კვირამდის და კრების წინ წევრებმა შემოიტანონ დანარჩენი ფული საზოგადოების კასაში თანხის გასაძლი-ერებლად, ერთის მხრით, და სრული გადაწყვეტილი ხმის უფლების მისაღებად, მეორეს მხრივ.

სასურველია, რომ მომხმარებელი სა-ზოგადოების კრებას დაესწროს რაც შე-იძლება მეტი ხალხი, რომ საბოლოოდ გამოირკვეს უმეტესობის აზრი მომავალ-ლი მოქმედების უახლოეს მიზნებზედ. საქართველო წევრებმა წინასწარ მოიფიქრონ კანდიდატურები გამგეობის და სარგევი-ზიო კომისიის წევრებისა. საქართველო ერთ-სულთნობა ამ დიდი და მეტად სადღე-ისო საქმისათვის, ვინაიდან აუტანელი სიძვირე პირველ-საქართველების საგნებისა ერთნაირი სიმძიმით აწევდა როგორც ქალაქის მომხმარებელს, ისე სოფლისა და ალგორ-ახსნილ სპეკულიაციის წინააღმდეგ არის მომხმარებელი შეგნებული თანა-მშრომლობა, ანუ საკოაპერაციო წესით შექმნა და ყიდვ უფრო ხელსაყრელ პი-რობებში ყოველნაირ საარსებო საგნე-ბისა.

იმედია, ქართველი საზოგადოება ყუ-რადღებით მოექცევა ამ საქმეს და ახლო მომავალში დაამტკიცებს თავის სიმწიფეს ხალხის გაჭირვების შეგნებაში;

წრე-ვანდელი წყალდიდობის შემდეგ კოპო-რატული მოძრაობა, მომხმარებელ და სხვა დარგის ამხანაგობათა მომრავლება ჩვენში საუკეთესო სახსარია ეკონომიურ თვითარსებობის შენარჩუნებისა და გაუმ-ჯობესებისათვისაც და მავალით ასეთ ამხანაგობათა სიკეთისა—თბილისის კო-ოპერატივებმა უნდა მისცენ პროვინციას და თვისი ფაქტორი არსებობით ხელი უნდა შეუწყონ ასეთივე ამხანაგობათა დაარსება-განვითარებას. ჩვენის აზრით, თუ საზოგადოება თანაგრძობით შეგნდა ამ იდეას და ხელი შეუწყო როგორც მატერიალური, ისე ზნეობრივი დახმარე-ბით—ამხანაგობა „მეურნეს“ შეუძლიან იკისროს ეს დიდი და სასარგებლო რო-ლი.

მსურველთა და თანამგრძობთ მოვიწ-ვეთ კვირის კრებაზედ, რათა გამოი-თქვან თვითნაირი აზრი და იზრუნონ ამ ახალს ეკონომიურ დარგზედ საზოგადოდ და „მეურნეზედ“ კერძოდ.

**ომი ბ გრძობის იარაღები**

საზოგადოებაში დიდს აღშფოთებას იწვევს ბრძოლის ის ახალ-ახალი საშუა-ლება და ახალ-ახალი იარაღი, რომელიც გერმანიამ მოიშველია ამ უმავალითო ყელთა ჭრის დროს. თავდაცვის გულის-თვის გერმანია სარგებლობს ყველაფრით, რასაც კი მიაწვდის მას გერმანიის გე-ნის შემოქმედება. საზოგადოება უზნეო და ანტიუმანიტარ საშუალებებს ეძახის, მავალითად; გერმანიის მიერ შხამიან გაზების ხმარებას. სხვათა შორის, ეს მი-აჩნიათ ჰაავის კონფერენციის დადგენი-ლების დარღვევად და საერთაშორისო უფლებების გათვალვად. თვით გერმანიელები სხვაინარად უყურებენ საგანს. მათთვის ჯერ სიცოცხლე და თვითარსებობა და მერე უფლება და დარღვიანობა. მათის აზრით ცვალებადია ცნება, თუ რა არის ბრძოლის ზნეობრივი და ჰუმანიტარი სა-შუალება. ამ საგანს ეხება ქალაქ ჰამ-ბურგის გაზეთ „Framdeblatt“-ში პრო-ფესორი ოსკარ ბიე. მოგვყავს გერმანიე-ლი პროფესორის ზოგიერთი მოსაზრება:

„ყოველი მსოფლიო ომი სკვლის წი-ნანდელ შეხედულებას იმის შესახებ, თუ რა არის ზნეობრივი და უზნეო, ჰუმანი-ტური და არა-ადამიანური. ომი აუქ-მებს ჰუმანიტარობის ძველ თეორიებს და მათ სანაცვლოდ ახალ-ახალ შეხედულებას იძლევა, რომლებიც ბუნებრივი შედეგია ბრძოლის ტრაკტიკის გამოცვლისა და და ტენციის განვითარებისა“. პროფე-სორი ბიეს აზრით, არ არსებობს ჰუმანი-ტარობის პრინციპი. არ არის ისეთი ბუნებრივი კანონი, რომელსაც ჰუმანიტუ-რობა ერქვას. ჰუმანიტარობა გარეშე პი-რობების შედეგია და იცვლება ყოველს ქვეყანაში საუკუნეიდან საუკუნემდე. ის-რებისა და ცულების საშუალებით რომ იბრძოდნენ, ის დრო რით იყო ჩვენს დროზედ უფრო ჰუმანიტური, როდესაც ზარბაზნების საშუალებით იბრძოდნენ. ან რატომ არის უფრო ჰუმანიტური შხამიანი გაზი, როდესაც მას ციდან გადმოყრილი სუბსტანციები, გასვლება თუ არა, მიულ ჯარს მოსდებს და ნაკლებ ჰუმანიტური, თუ იგივე გაზი პირდაპირ ცხვირის ნე-სტოში მტერს შეუხშირავს. განსხვავება ის არის, რომ სულთამხუთი, გაზების შე-მოღება სრულიად მხილი და რომ იგი არც ყველა მემბარ მხარეს აქვს. ომის დროს ჰუმანიტარობა არ არსებობს და ვერც იარსებებს. გერმანიის უფლება აქვს გამოიყენოს ყოველი საშუალება რასაც გერმანიის შემოქმედება მიიყენებს. აქ რა მოსატანია ჰაავის კონფერენცია და მისი დადგენილება. ომი რომ ვათავ-დებთ, სხვებს უფლება აქვთ დასხდნენ და თხზან ბრძოლის ახალი წესები. გერ-მანია ღიმილით წაიკითხავს ამ ამბებს და დავიწყებს, გამოიგონებს თუ არა განადგურების ახალ იარაღს. ახალი ტე-ხნიკა ახალ ძალას მატებს ჯარს, და მხოლოდ ბრიყვებს შეუძლიან უარი სთქვან ამ ახალ ძალაზედ. ტენიკა ჰქმნის ძალას, ძალა—უფლებას, ხოლო უფლება შობს ჰუმანიტარობას. ყველა ეს ცნება იცვლება დრო და ადამის განმე-ლობაში და გერმანია არც ისე ბრიყვია, რომ ომის დროს ამის თაობაზედ მსჯე-ლობაში გაერთოს... ჩვენ ყველაზედ გო-ნიერი და ყველაზედ პრაკტიკი ხალხი ვართ მთელ დედამიწის ზურგზედ და არა გულჩვილი სულელები, დასძენს პროფესორი ოსკარ ბიე.

რომ აირია და შეირყა პრინციპი და ცნება, თუ რა არის ზნეობრივი საშუა-ლება და რა უზნეო, იქიდანაც სჩანს, რომ დღეს არავინ იტყობს ბრძოლის იარაღს, ოღონდ ამ იარაღმა მტრის მე-ბრძოლი ჯარისკაცები გასწყვიტოს. ასე, მავალითად, „რანენე უტროში“ მოთავ-სებული ანექტიდან, რომ გავგოთ ვინ რა აზრისა იყო რუსეთში ბრძოლის ნე-ბადაურთველ იარაღის ხმარების შესახებ, ვტყობობობთ, რომ როძიანყო, სახელმწ. სათათბიროს თავმჯდომარე, მომხრეა ამ-გვარი საშუალების ხმარებისა. იგი ამ-ბობს: აუცილებელია გერმანიელებს მათი-ვე საწყაულით მიუღებოთ. როდესაც ყელში გწვდებიან და გახრჩობენ, სისუ-ღელეა ფიქრი იმაზედ თუ რომელი სა-

შუალებაა ზნეობრივი და ნებადართული თავის თავის დასაცავად. თავიდი ლეო-ვი, ერობათა გაშვების თავმჯდომარე, ასეთ პასუხს იძლევა: შხამიან გაზების ხმარება პრინციპიალურის თვალსაზრი-სით შეუწყნარებელია, მაგრამ რადგან მტერი ხმარობს, ჩვენც უნდა მივბაძოთ მის მავალითს. ომი—ომიაო!

სამხედრო მინისტრის ახალ თანაშემ-წეს გენერალ ბელიას ასე უპასუხნია ანექტის საკითხზე: არ შეიძლება საქვე-ყნოდ იმის თქმა, თუ რა ღონისძიებას ვიხმარო გერმანიელების წინააღმდეგ. ყო-ველ ღონისძიებას მნიშვნელობა მაშინ აქვს, როდესაც იგი მოულოდნელია და ერთბაშა. მომავალი ნათელყოფს ჩვენს გეგმებსაო.

ოღონდაც რომ ყველა ნორმაზედ მა-ღლა სდგას ეროვნული თვით-არსებობა და ეროვნული თავ-დაცვა.

**ჩვენი სწოვაება**

ქ. გორი. ორშაბათს 29 ივნისს ქ. გორში ქართველი შორის წერა-კით-ხვის გამავრცელებელ საზოგადოების გო-რის განყოფილება თვის საშუალებათა გასაძლიერებლად ჰმართავს წარმოდგე-ნას; წარმოდგენილი იქნება ახალი ორი-გინალი პიესა „კანტორის შვილისა“ „ბუ-რუსში“. დასასრულს გაიმართება დღეო-რის მინერტი. მონაწილეობას იღებენ სცე-ნის მოყვარენი.

ქ. გორში სცხოვრობს მეტად სასარ-გებლო პირი ექ. პავლეკო. იგი ამ ეამდ ერთ ჯგუფს უკითხავს ლექციებს იმის შესახებ, თუ რა საშუალებით შეიძლება შეგლა სხვა და სხვა უბედურ შემთხვე-ბებში, ვიდრე ექიმი მოვიდოდეს. ლექციები მეტად საინტერესოა და სამწუხაროა, რომ სოფლის მასწავლებელნი, რომელ-ნიც გორში ბლომად არიან და რომელ-თათვისაც ამის ცოდნა მეტად სასარ-გებლოა, არ დაიარებიან.

ქ. გორში არსებობს სახალხო უნივერ-სიტეტი, რომელიც ათასში ერთხელ ამცნებს საზოგადოებას ლექციებით, რომ იგი ცოცხალია. სასურველია, თუ ვერ მოუხერხებია სისტემატიურად მოაწყოს ლექციების კითხვა, ყოველ კვირა უქმე-ობით ჰმართოს სახალხო ან საბავშვო კითხვები, რომ ხალხი გააცნოს ქართულ ლიტერატურის ზოგიერთ ძვირფას ნი-მეშს.

**წერილი ქიზიყიდან**

სამი თვის გამუდმებული წვიმების შემ-დეგ ეს ერთი კვირა ძლივს გამოიღარა. ხალხი მინდვრად გაიშალა სამუშაოდ, მაგრამ ვაი ამ მუშაობა—წყლის ვაშლას. ჯერაც მინდორ-ნახანებში წყალი არ დამშრალა—აქამდის ხომ წყლით სავსე ნახანებში წელამდის გახდილი-დაკარ-ვა-ხებულები ჰქვიდნენ. ეხლა ის მომიკლი ათეულები ისევ წყალ-ტალაპოში აწყვეია და, ვინ იცის, როდის იქნება ათეულ-მე-ბის ვაშრობა—აქამდის შეუძლებელი იყო მათი კალოზე მტანა ტალახისა გამო.

რაც მოსამკალია, იმის მომკაც ძნელი და გასაჭირია. ყანას წვიმებზე თავთავი გაუშავდა, ჩაუყურტა, რაც მომკის დროს ჯავას ათაკეცებს. ამ მუშა ხელის სიძვირე-ნაკლებობაში ყანის პატრონს რაღა ხიერი და სარგებლობა ექნება. დღეში ორ-სამ მანეთს ნასამკლევსა თხო-ულობენ. უნდა მისცე მეტი რა დონე ვაქვს. სად იშოვნის კაცი იაფ მუშას ამ სისხლის-წვიმების დროს.

ტყულობდ კი არ ამბობენ ხოლმე ქი-ზიყელნი—გვალვიანი წელიწადი ისე არ დაამშვეს ქვეყანას, როგორც ნოტიო. მართლაც წლებადღებმა მშვენიერმა, ბა-რაქიანმა მოსავალმა ქიზიყელთ იმედი გაუტრუვა, უხვაურად ჩაუარა... ვენახის მოსავალს ხომ ნულარ იკით-ხავთ. ჯერ ნაწამლი ვენახებიც გააფუტა წლებადღებმა გადამტებულმა, წრეს გა-დასულმა ადვრებმა. ადვილი წარმოსად-გენია უწამლო ვენახებს რა დღე დაად-გებოდა. უწამლო ვენახში მტევნის ველა-რა ჰნახავთ, ყურძენი ისე გასცვივდა, ცარიელი ვაროკილი კლურტები და ჰკი-დია. ფოთოლიც მიღალ დაიხრუკა წით-ლად.

უნდა ითქვას, რომ სამი წელი ვენახე-ბისა წელს ქიზიყში უწამლო დარჩა შა-ბიამან-გოგირდის უქონლობისა და სიძვი-რის გამო. გორვანქა შაბიამანი ექვს აბაზად იყიდებოდა, გოგირდი გორვანქა თითხმეტ შუარად, მაგრამ ამასაც რომ გდომებოდათ, თავის დროზე ვერ იშო-ვიდით, რათა ვენახისათვის შესაფერ-დროს გეწამლათ და გოგირდი დაეყარ-

ნათ. ამ შაბიამან-გოგირდის სიძვირე-ნაკლებულბულობისა გამო ქიზიყმა დი-ლიდი აუნაზღაურებელი ზარალი ნახა. ყველამ იცის, რომ ენია ქიზიყელთა-თვის ერთი უმთავრესი წყაროა ცხოვრე-ბისა და საშუალება ათასგვარ ხარჯ-გა-დასახადების მოსაშორებლად. ამიტომაც ხელცარიელნი და იმედ-გაცრუებულნი დარჩნენ ქიზიყელნი, ისიც მაშინ, როდეს-საც ყველაფერს ცეცხლი ეკიდებოდა, მამა-სისხლად იყიდებოდა. რაღა ღონისძიებით იყიდის ქიზიყელი ერთი-ორფასად გამშ-დარ პირველ მოთხოვნელების საქირო სახმარ საგნებს... ისევ ვალში უნდა ჩა-ველას ყელამდის, ოღონდ მტერ-მოყვა-რესთან პირნათლად გამოვიდეს.

სწორედ შესაფერი დროა ქიზიყის წერილი კრედიტის ამხანაგობათა გამ-გობებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, მოახდინონ ქიზიყის საკრედი-ტო ამხანაგობათა საერთო ყრილობა დასაარსებლად საერთო ქიზიყელთა კე-ვშირისა, რასაც დიდი მალამოს გამოხან-ვა შეეძლება ქიზიყელთა ეხლანდელ დუხ-ჭირ ცხოვრებისათვის...

როგორც იყო, ს. ქვემო-მარჩაბანშიც გაიმართა აკადემიის საღამო. წმინდა შემო-სავალი დარჩა ოცდა სამი მანეთი და 27 კაპ.

ერთ თვეზე მეტია ს. ქვემო-მარჩაბანში შეიკრიბა აქართველთა სასარგებლოდ ფუ-ლი. დღემდის არ ვიცით ეს ფული რა იქნა. ვითხოვთ გაზეთში იქნეს გამო-ცხადებული—რა იქნა ეს ფული.

ქ. გენ—შვილი.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

გაზანდა თბილისის ბაზარზედ

გაიყიდა:	25 თიბათვეს
მსხალი.	3 მან.
კიტრი 100 ც.	3 მ. 50 კ.
ლობია	2 მ.
ვაშლი	3 მ. 50 კ.
კარტოფილი	1 მ. 60 კ.

26 თიბათვეს

ატამი	4 მ.
კიტრი 100 ც.	3 მ. 50 კ.
მსხალი	2 მ. 60 კ.
ტყემალი	3 მ.

28 თიბათვეს

კიტრი	3 მ.
ატამი	4 მ.
ვაშლი	3 მ.
მსხალი	2—20
თხილი	2 მ.

29 თიბათვეს

კიტრი	3 მ.
ატამი	3 მ. 50 კ.
თხილი	2 მ. 50 კ.
ქლიავი	3 მ.
მსხალი	2 მ.
ვაშლი	3 მ.

ქაქუტუსი (ქუტუსი) მიმოსვლა  
(დრო ნაჩვენებია თბილისის საათით)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხ-შაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნ-დება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს. 13 წ. დილ.
ნავთლულ-ამიერ-კავ.	8 " 40 " "
ნავთლულ-კახეთ	8 " 58 " "
ვაზიანიდან	10 " 06 " "
ივრიდან	21 " 15 " "
საგარეჯოდან	11 " 58 " "
ბაღდათურიდან	12 " 56 " "
მელაანიდან	2 ს. 16 წ. საღ.
გურჯაანიდან	3 " 37 " "
კარდნახიდან	4 " 12 " "
წნორის-წყალზე	4 " 44 " "

ზუგდიდიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს. 42 წ. საღ.
ვაჩანაძიანიდან	4 " 33 " "
თელავში	5 " 27 " "

თბილისიდან გადის:

წნორის-წყლიდან	8 ს. 58 წ. დილ.
კარდნახიდან	9 " 41 " "
გურჯაანიდან	10 " 24 " "
მელაანიდან	11 " 39 " "
ბაღდათურიდან	12 " 59 " საღ.
საგარეჯოდან	2 " 80 " "
ივრიდან	2 " 50 " "
ვაზიანიდან	3 " 55 " "
ნავთლულ-კახეთ.	4 " 58 " "
ნავთლულ-ამიერ-კავ.	5 " 18 " "
თბილისში	5 " 28 " "

თელავიდან გადის:

თელავიდან	8 ს. 54 წ. დილ.
ვაჩანაძიანიდან	9 " 25 " "
გურჯაანში	10 " 07 " "

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა  
(დრო ნაჩვენებია თბილისის საათით)

თბილისში გადის:

№ 3 ბაქოდან	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათომიდან	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათომიდან.	9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან.	6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

იქლავა პართი მოზარდები

**მთახი**

უტყუნოთ მხოლოდ ერთისათვის. ვერა, ანანაურის შესახებ № 7, ბინა შ. ქუ-ჩუაშვილისა. წყალი ზედ ბალკონზე.

გ თ ხ რ ვ თ პ ი რ ა დ ა დ დ ა რ ფ შ უ ნ დ ე თ

**შუშუნა „ჩვენი გემო“ კვასი**

„ჩვენი გემო“-ს ქარხანა გადავიდა ჩერქეზოვის ქუჩაზე № 38. კვასი მზადდება პირველ ხარისხიან მასალისაგან და ნაღული წყლით. სისუფთავე ქარხანაში საუკეთესოდ დაცულია. ამზადებს დიდი ხნის დაკვირვებული და პრაქტიკის მქონე მოხელე.

გემო და სუნის სასიამოვნო აქვს.

ვისაც სურს დალიოს ნამდვილი პურის კვასი, მოითხოვოს ყოველგან „ჩვენი გემო“ და არ აურთონ ის სხვა ფორმებში. კვასი „ჩვენი გე-მო“ ქიმიურ ლაბორატორიისაგან განსჯული და მოწონებულია.

გ თ ხ რ ვ თ პ ი რ ა დ ა დ დ ა რ ფ შ უ ნ დ ე თ

ქეხილეთ ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა

**„მ ა რ თ ლ ი“**

„ქართლის“ კოაპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიან შეიძი-ნონ ყოველნაირი ხილი იაფად.

**თავზის მრეწველნი**

**ამ. პეგველოვები**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავღაზარში**

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7, ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და საეპრო სახლ. „ლ. მაილკვის-შვიტი“, სამრე-წველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილა, მცირე მარლიანი, შავი „მეშოინი“ ხიზილა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხა, თარით, ფარეა და ლოქე გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთი და საზღვარ-გარეთის ფორმებისა ხანგძლივ ინახება.